პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 302 (10696) | შაბათი, 29 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ავამაღლოთ პროფკავშირთა როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, ჩვენი სამშობლოს ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სოციალისტური მშენებლობის მთელი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ჩვენი წინსვლის, დასახული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მძლავრი წყაროა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები, როგორც თავიანთი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები, მთელ ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განუწყვეტელი ზრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალ წარმატებათა მიღწევის საწინდარია.

პროფკავშირებს დიდი როლი ეკუთვნით მუშათა და მოსამსახურეთა მილიონიანი მასების აღზრდასა და სწავლებაში, წარმოების აღმავლობისა და სრულყოფისათვის საბრძოლველად მათი შემოქმედებითი ძალების დარაზმვაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში. „საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში, — ისეთ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი, რომ პროფკავშირებმა სავსებით გაამართლონ თავიანთი მაღალი დანიშნულება — იყონ, როგორც ლენინი გვასწავლიდა, „მმართველობის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა!“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა შესამჩნევად გაცხოველდა. პროფკავშირული ორგანიზაციები მეტს მუშაობენ წარმოების, შრომის ორგანიზაციისა და დაცვის, მუშათა და მოსამსახურეთა მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხებზე. ახლა უფრო ფართოდ არის გამოყენებული წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ისეთი ფორმები, როგორიც არის მუშთა კრებები, საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივები და სხვ. „პრავდის“ მკითხველთა წერილებში, რომლებიც დღეს ქვეყნდება, გაშუქებულია ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ძვირფასი გამოცდილება.

აი ერთ-ერთი მაგალითი. ქარხანა „მოსკაბელის“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ საწარმოს ცხოვრების საარსებო საკითხების განხილვაში. წარმოების მართვაში ქარხნის კოლექტივის მონაწილეობის ქმედითი ფორმაა საწარმოო თათბირები, რომლებიც აქ რეგულარულად იმართება. პროფკავშირის საქარხნო და საამქრო კომიტეტები გულმოდგინედ ემზადებიან ამ თათბირებისათვის. ისინი ეთათბირებიან მუშებს, ოსტატებს, ტექნოლოგებს იმაზე, თუ რა საკითხები აღელვებს მათ, რა უნდა იქნას განხილული კოლექტიურად.

საამქროთა საწარმოო თათბირების მუშაობაში მონაწილეობენ ქარხნის დირექტორი, მთავარი ინჟინერი, სხვადასხვა დარგის უფროსები, საქარხნო კომიტეტის წარმომადგენლები. ამის მეოხებით შესაძლებელი ხდება ბევრი საკითხი გადაიჭრას ადგილობრივ, ოპერატიულად მოახდინონ გავლენა საამქროთა და მთლიანად საწარმოს მუშაობის მსვლელობაზე. როგორც წესი, საამქროს უფროსი ყოველ საწარმოო თათბირზე აკეთებს მოხსენებას, თუ როგორ ინერგება მუშების წინადადებანი, რომლებიც წინა თათბირებზე გამოთქვა. საწარმოო თათბირების ქმედითობა აძლიერებს მათს ავტორიტეტს, ავითარებს ქარხნის კოლექტივის აქტივობას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პროფკავშირული ორგანიზაციები ინიციატივასა და სიმტკიცეს იჩენენ, ჯეროვნად იყენებენ თავიანთ უფლებებს, ისინი ყოველთვის აღწევენ წარმატებებს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, წარმოების მუშაობის პირობების გაუმჯობესებაში. ურალის ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში მიმდინარე წლის დამდეგს ჩახერგილი იყო საამქროები და სამუშაო ადგილები, რაც ხელს უშლიდა საწარმოს ნორმალურ მუშაობას. მუშებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა შეასრულებინა ქარხნის დირექციას ეს წინადადებანი, რამაც შესაძლებელი გახადა საამქროებში წარმოების კულტურის ამაღლება და შრომის პირობების გაუმჯობესება.

ასეთი მაგალითი ცოტა როდია. ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ პროფკავშირულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ახასიათებს ნაკლოვანებანი, რომლებიც აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. მათი მუშაობის დონე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. მათ კვლავინდებურად აკლიათ მებრძოლურობა, სიმწვავე, პრინციპულობა და ინიციატივა ძირეული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებაში, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, უსაშიშრობის ტექნიკის გაუმჯობესებასთან, საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან, მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებასთან. ზოგიერთი პროფკავშირული ორგანო ცდილობს მშვიდობითა და თანხმობით იცხოვროს იმ სამეურნეო მუშაკებთან, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას, ბიუროკრატულად ეკიდებიან მუშათა და მოსამსახურეთა საჭიროებებს. სავსებით სწორია, რომ ამ ნაკლოვანებებს მკვეთრად აკრიტიკებენ პროფკავშირულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს.

როგორც „პრავდის“ მკითხველი ამხ. ა. ამოსოვი თავის წერილში იუწყება, ტრესტ „სტალინოგორსკუგოლის“ № 37 შახტის პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს საშახტო კომიტეტის საქმიანობის ნაკლოვანებანი. მიუხედავად შახტის ჩამორჩენისა, პროფკავშირულ კომიტეტს არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი, რათა სწორად მოეწყო შრომა, უზრუნველეყო კოლექტიური ხელშეკრულების შესრულება. საშახტო კომიტეტს არ უზრუნია ქვანახშირის მუშაკთა ყოფაცხოვრებისათვის, მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მუშები უზრუნველყოფილი არ არიან სპეცტანისამოსით, აბანო ცუდად მუშაობს, იქ ხშირად არ არის ცხელი წყალი. საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მასლოვი, ამბობდნენ დელეგატები, მოსწყდა პროფკავშირულ აქტივს, არ ეთათბირებოდა მას. კონფერენცია სწორად მოიქცა, ამხ. მასლოვი რომ აღარ აირჩია საშახტო კომიტეტის ახალ შემადგენლობაში.

მუშაობაში ინიციატივას არ იჩენდა აგრეთვე ლენინგრადის № 4 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პროფკავშირული კომიტეტი. ქარხნის პროფკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, აღინიშნა, რომ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელები და საქარხნო კომიტეტი არ უგდებენ ყურს მუშათა ხმას, მათს წინადადებებს არსებული რეზერვების უკეთ გამოყენების შესახებ, პროფკავშირული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა სოციალისტურ შეჯიბრებას, გვერდს უვლიდა უსაშიშრობის ტექნიკის დარღვევის ფაქტებს. ქარხანაში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, რითაც მნიშვნელოვანწილად აიხსნება შრომის დისციპლინის დარღვევის ხშირი შემთხვევები.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, მტკიცედ მოითხოვენ პროფკავშირთა მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას. ჩვენმა პროფკავშირებმა, რომელთა რიგებშიც გაერთიანებულია თითქმის ყველა მუშა და მოსამსახურე, როგორც პლენუმმა აღნიშნა, უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულონ მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „ამაღლდეს პროფკავშირების როლი საწარმოთა სამრეწველო საფინანსო გეგმის შემუშავებასა და შესრულებაში, საწარმოებში შრომის დანორმვისა და ორგანიზაციის, ხელფასის, უსაშიშროების ტექნიკის გაუმჯობესების საკითხთა და განსაკუთრებით იმ საკითხთა გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია საბინაო მშენებლობასთან და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან“. პროფკავშირების მოვალეობაა მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ამ საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში, მტკიცედ იბრძოლონ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, უზრუნველყონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა უთუო შესრულება. საჭიროა, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველ ძვირფას თაოსნობას საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, მოაგვარონ შეუნელებელი საზოგადოებრივი კონტროლი სასადილოების, მაღაზიების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაობისადმი, უზრუნველყონ კლუბების, კულტურის სახლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სანიმუშო საქმიანობა.

სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუწყვეტელი განვითარებისათვის ბრძოლის მძლავრი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობის ზრდას, ხალხის ტალანტების გამოვლინებას, მოწინავე გამოცდილების, შრომის პროგრესული ხერხებისა და მეთოდების ფართოდ გავრცელებას. პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაიბან მშრომელთა ფართო მასები, მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრება ყველგან ნამდვილად ცოცხალი და ქმედითი იყოს, განდევნონ შეჯიბრების ხელმძღვანელობის პრაქტიკიდან ფორმალიზმი, კაზიონურობა და შაბლონი.

საბჭოთა სოციალისტური წყობილება უზრუნველყოფს მშრომელთა უაღრესად ფართო და უშუალო მონაწილეობას წარმოების მართვაში. ამ მიზანს ემსახურება მუშათა და მოსამსახურეთა კრებები, საწარმო თათბირები, ტექნიკური კონფერენციები, სამეურნეო აქტივები, წარმოების მოწინავეთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა თათბირები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქმიანობა. პროფკავშირულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის ეს ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება.

დიდი და პასუხსაგები ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც პროფკავშირების წინაშე დგას, პროფკავშირებს ესაჭიროებათ პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული დახმარება. ისინი ყოველდღიურად უნდა წარმართავდნენ პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, მხარს უჭერდნენ მათს ძვირფას თაოსნობასა და წინადადებებს, მეტ ზრუნვას იჩენდნენ პროფკავშირული კადრების აღზრდისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პროფკავშირული ორგანონი — თავიდან ბოლომდე — მთელ თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობოდნენ ფართო პროფკავშირულ მასებს, იცავდნენ პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპებს, გულისხმიერად ეკიდებოდნენ ქვემოდან კრიტიკას და აბორიგელებდნენ ქმედითს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საბჭოთა პროფკავშირები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყოველთვის იყვნენ კომუნიზმისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის აქტიური მონაწილენი. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ პროფკავშირები კვლავაც იქნებიან იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც მათ პარტიამ დაუსახა.

„პრავდის“ 28/XII მოწინავე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს

მეელმავლეთა შრომითი აღფრთოვანება

მორიგ რეისზე გასამგზავრებლად თბილისის საელმავლო დეპოში მოვიდნენ მემანქანეები ს. გოგოლაძე და გ. ჩახუნაშვილი. იქ მათ მემანქანე ნ. გასიტაშვილი დახვდათ. მას ხელში ახალი გაზეთი ჰქონდა.

— გატყობთ უკვე მოგისწრია ახალი გაზეთის წაკითხვა. აბა გვიამბე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებათა შესახებ, — მიმართეს ნ. გასიტაშვილს და იქვე ჩამოსხდნენ.

მალე შესვენების სიგნალიც გაისმა. მემანქანეებს შემოუერთდნენ აწევითი შეკეთების, ელექტრომანქანების, ავტომუხრუჭების სარემონტო საამქროების მუშები, რეისიდან დაბრუნებული მეელმავლეები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა.

ავტომუხრუჭების სარემონტო საამქროს ოსტატმა გ. გუდავაძემ საუბარში თქვა, რომ საამქროს კოლექტივმა, რომელიც ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს, გადაწყვიტა მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის პასუხად 1957 წელს წლინახევრის გეგმა შეასრულოს და თვითეული მუშის გამომუშავება 250 პროცენტამდე გაზარდოს.

საუბარში ჩაერია აწევითი შეკეთების საამქროს ოსტატი კ. გურული.

— ჩვენ, — განაცხადა მან, — უსაზღვროდ აღგვაფრთოვანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. პლენუმის დადგენილებების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას. წელს ჩვენმა საამქრომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ერთი ელექტრომავალი. ახლა ვალდებულებას ვკისრულობთ 1957 წელს გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ ორი ელექტრომავალი.

ჩვენი საბრძოლო საქმე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ გაეცნენ, ვარდისუბნელი კოლმეურნეები რაიონში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ და თვითეულ ძროხაზე 1.200 ლიტრი რძის მიღება იკისრეს. გაჩაღდა ბეჯითი შრომა. მწყემსებმა ბერუტაყვის მოვლა გაუმჯობესეს. კვების რაციონი, რომელიც შედგენილი ეყო ცალკე ძროხების მიხედვით, ზუსტად დაიცვეს. შედეგიც ჩინებულია. გასულ სამეურნეო წელს გეგმის გადამეტებით 37.541 ლიტრი რძეა მიღებული. სამუალოდ ერთი ძროხის წველადობამ 1.400 ლიტრს მიაღწია, გეგმა კი 1.200 ლიტრს ითვალისწინებდა.

მეცხოველეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მწველავმა რევაზ სუმბაძემ გაიმარჯვა. მან მოსავლელად მიმაგრებული 10 ძროხიდან სამუალოდ ერთზე 2.052 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600 ლიტრისა.

მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე მწველავები ვ. ჯავახიშვილი, ი. ყარაულაშვილი, შ. სუმბაძე და სხვ.

სამეურნეო წელი მეცხოველეობაში ახალი აღმავლობით დავიწყეთ. 1 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე 40 ათასი ლიტრი რძე მივიღეთ. ეს 1.400 ლიტრით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდში მიღებულს.

მწველავთა შორის პირველობა ივანე ყარაულაშვილს ეკუთვნის. მან ორ თვეში სამუალოდ ერთ ძროხაზე 248 ლიტრი რძე მიიღო.

ვარდისუბნელ მეცხოველეთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. ამით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. სამშობლო ჩვენგან მეცხოველეობის მეტ პროდუქტებს მოითხოვს. ეს ჩვენი საბრძოლო საქმეა. ახალ სამეურნეო წელს თვითეული ძროხის წველადობას 1.500 ლიტრამდე ავიყვანთ.

ხალხის კეთილდღეობისათვის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის უდიდეს ზრუნვას ვარდისუბნელები ახალი წარმატებებით უპასუხებენ.

ვ. ხანჯალაშვილი,
თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

გ. ჯაფიაშვილი,
ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

მეექვსე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი დიდი კმაყოფილებითა და მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ორთქლმავალაშენებელ საამქროში აგიტატორ ი. ნაზაროვის საუბრის შემდეგ მოწინავე ზეინკალმა ი. დგებუაძემ განაცხადა:

— ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება ხელს შეუწყობს საყვარელი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ზრდას. პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება სამმაგად შევასრულო და ამით წვლილი შევიტანო საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ქარხნის საამქროებში პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საინტერესო, მიმზიდველ საუბრებს აწყობენ აგიტატორები ს. ბაბაევი, ნ. აივაზოვი, ა. ზადონსკი და სხვები. მუშებმა იკისრეს ვალდებულება უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ორთქლმავალაგონშემკეთებლები იმისათვის იბრძვიან, რომ სასახელოდ დაამთავრონ 1956 წელი და კიდევ მეტი წარმატებით დაიწყონ ახალი, 1957 სამეურნეო წელი.

ნოვატორი ანგი ტყეშელაშვილი



ა. ტყეშელაშვილი მის მიერ გამოგონებული მარეგულირებელ მოწყობილობასთან.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

დიდი ხანი არ არის, რაც ახალგაზრდა ნოვატორი ანგი ტყეშელაშვილი ბათუმში მუშაობს. წინათ იგი მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, კრასნოდარის თამბაქოს კომბინატში და სხვ. მან საშუალო ტექნიკური განათლება მიიღო და ელექტროტექნიკოსის მისწრაფება ტექნიკის დაუფლებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. ბათუმის ჩაის ფაბრიკაში მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო მუშაობა. ეს ფაბრიკა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოა. თითქმის ყველა შრომატევადი პროცესი აქ მანქანებით სრულდება. მაგრამ ნოვატორი ელექტრიკოსის თვალმა მალე შეამჩნია წარმოების ბევრი „ვიწრო“ ადგილი. ა. ტყეშელაშვილმა შენიშნა, რომ ჩაის საგრეხი მანქანების რეგულირება, მათი მართვა პრიმიტიულად, ხელით წარმოებდა.

ცნობილია, რომ საროლერო საამქროში მომუშავე ყველა მანქანას ბრიგადირი ემსახურება. იგი ხელით რთავს ბერკეტს და მოძრაობაში მოჰყავს წნეხის ფარი, რომელიც აწვება ჩაის ფოთოლს და ამ მდგომარეობაში რჩება ათ წუთს, შემდეგ ბრიგადირი ისევ ხელით გამორთავს ბერკეტს, წნეხი ზევით მიემართება და 5 წუთის განმავლობაში ჩაი გრილდება, შემდეგ 10 წუთს ფარი ისევ ძირს აწვება ნედლეულს, მერე ისევ ზევით მიდის და ასე მეორდება იგივე ოპერაცია.

ჩაის ერთი პარტიის გადამუშავებისათვის წნეხის ასეთი მოქმედება სამჯერ მეორდება და მისთვის 45 წუთია საჭირო. დღეღამის განმავლობაში ბრიგადირი 100-ჯერ და კიდევ მეტჯერ უნდა მივიდეს როლერთან. ამრიგად, ეს პროცესი ძლიერ შრომატევადი და მომქანცველია, ამასთან რაგინდ დახელოვნებული ბრიგადირიც უნდა იყოს, შეუძლებელია ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვა, რის შედეგადაც პროდუქციის ხარისხი ხშირად უარესდება.

ნოვატორმა ა. ტყეშელაშვილმა ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელობის დახმარებით განახორციელა როლერის მართვის ავტომატიზაცია. მოწყობილობის საცდელი ეგზემპლარი დადგმულია ერთ-ერთ როლერზე. წნეხმა საწარმოო გამოცდა წარმატებით ჩაიბარა. მოწყობილობა მოიწონეს როგორც ფაბრიკის მუშებმა, სპეციალისტებმა, ისე „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა.

ტრესტის საკონსტრუქტორო ბიუროს დაამზადა მოწყობილობის ტექნიკური დოკუმენტაცია. ამას წინათ ტრესტიდან მიღებულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ა. ტყეშელაშვილმა ორიგინალურად გადაწყვიტა საგრეხი მანქანის წნეხის მუშაობის ავტომატიზაცია. ტრესტმა ნოვატორს მადლობა გამოუცხადა და დააჯილდოვა ორი თვის ხელფასით.

ტრესტმა გადაწყვიტა ეს მოწყობილობა მომავალი წლიდან დანერგოს რესპუბლიკის ყველა ჩაის ფაბრიკაში. მოწყობილობის დიდი მნიშვნელობა ადვილად წარმოსადგენია, თუ აღვნიშნავთ, რომ მისი დანერგვის შედეგად ჩაის ფაბრიკებში განთავისუფლდება ათობით ბრიგადირი. ამასთან საგრძნობლად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

დაწვრილებით გაეცნო რა ჩაის ფაბრიკების თანამედროვე ტექნიკას, გაბედულ ნოვატორს ახალი აზრები დაებადა. კერძოდ, იგი ჩაფიქრა ჩაის ფოთლის ნედლეულის ხარისხის ხელით, ყლორტის გადატეხის საშუალებით გასინჯვამ. ამას წინათ მან დაამზადა ელექტროაპარატი, რომელიც ზუსტად ამოწმებს ფოთლის ხარისხს. ყლორტი, რომელსაც აპარატი გადატეხს, პირველი ხარისხისაა, ამასთან თუ გასინჯვისას ყლორტები ერთმანეთში აირია, საკმარისია აპარატის სახურავი ავხადოთ და გადავითვალოთ ქაღალდზე აღბეჭდილი წერტილების რაოდენობა. აღნიშნული აპარატის მოდელი გაგზავნილია ტრესტში განსახილველად და დასამტკიცებლად.

მიმდინარე წლის ივლისში ფაბრიკამ ტრესტის ტექნიკურ ბიუროში გაგზავნა ა. ტყეშელაშვილის კიდევ ერთი წინადადება, რომლის განხორციელების შედეგად ელექტროგამთიშველების გამოყენების გზით უსაფრთხო ხდება როლერის მოძრაობა. მაგრამ რატომღაც ამ წინადადებაზე პასუხი დღემდე არ არის მიღებული.

ამჟამად ა. ტყეშელაშვილი მუშაობს როლერის დატვირთვა-გადმოტვირთვის ავტომატიზაციის საკითხზე. ნოვატორს მეტი დახმარება უნდა გაეწიოს.

გ. ჩხარტიშვილი,
ბათუმის ჩაის ფაბრიკის უფროსი ინჟინერი;

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ა. წ. 26-27 დეკემბერს გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ი. ზალუჟნის მოხსენება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ახალგაზრდობაში, რომელიც ჩავიდა ახალშენებებზე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებსა და დონბასში;

2. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ე. სემიჩასტნის მოხსენება ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად გაგზავნილ ახალგაზრდობაში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კომკავშირელები, საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები უდიდესი აღფრთოვანებით გამოხმაურნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწოდებას კომკავშირელებისადმი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი — აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეექვსე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობაში. მოკლე ხნის მანძილზე ორას ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი კომკავშირის საგზურებით გაემგზავრა ახალშენებებზე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ რაიონებსა და დონბასში და ამჟამად, ძლევს რა სიძნელეებს, წარმატებით ეუფლება სამშენებლო პროფესიებს, იბრძვის საწარმოო ნორმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გადის შრომაში აღზრდის დიდ სკოლას. ახალშენებებზე მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ კომკავშირული ორგანიზაციები, ამაღლდა მათი როლი კოლექტივის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამავე დროს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია სერიოზულ ნაკლოვანებებს იმ ახალგაზრდობასთან მუშაობაში, რომელიც საზოგადოებრივი მოწოდებით წავიდა საწარმოებში და მშენებლობებზე.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროების ბევრ ახალშენებაზე შექმნილი არ არის ყოველივე, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშები ასრულებდნენ თავიანთ საწარმოო დავალებებს, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხელფასის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ბევრ ახალგაზრდა მუშას ვერ შეუქმნეს პირობები სამშენებლო პროფესიების დასაუფლებლად, არის სერიოზული ნაკლოვანებანი ახალგაზრდობის საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობასა და კულტურულ მომსახურებაში. ახალშენებათა კომკავშირული ორგანიზაციები, კომკავშირის ზოგიერთი კომიტეტი ჯერ კიდევ სუსტად ებრძვიან ნაკლოვანებებს წარმოებაში, ნაკლებად იჩენენ ინიციატივას სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, არ იჩენენ ბოლშევიკურ პრინციპულობასა და სიმტკიცეს ახალგაზრდობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაკლოვანებათა დაძლევაში.

პლენუმმა დაავალა ახალშენებათა კომკავშირულ ორგანოებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ახალგაზრდობის შრომისა და საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში; იბრძოლონ საშენი მასალების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვისათვის; უფრო გაბედულად გამოავლინონ და უკეთ გამოიყენონ შინაგანი რეზერვები თვითეულ მშენებლობაზე; იბრძოლონ მშენებლობის ვადების შემცირებისათვის, ჩქაროსნული ნაკადური მეთოდების დანერგვისათვის.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა უკრაინის სსრ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს, პატრიოტული ვალდებულება ვადამდე, საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისათვის დაამთავრონ 35 ახალი შახტის მშენებლობა. პლენუმმა მოუწოდა ყველა ახალშენებების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლისთავის დირსეულად შეხვედრისათვის.

დაწესებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშანი „მეექვსე ხუთწლედის ახალშენებათა ახალგაზრდა მოწინავეს“. გათვალისწინებულია 1957 წლის დამლევს მოსკოვში მოეწყოს იმ ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო შეკრება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ახალშენებებზე შრომაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს პროფკავშირებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდა ახალმოსახლეთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში, კომკავშირული კონტროლი გაუწიონ საერთო საცხოვრებლების, საცხოვრებელი სახლების, სასადილოების, მაღაზიების, პურის საცხობების, აბანოების, სამრეცხაოების, სკოლების, კლუბების, სასპორტო ნაგებობათა მშენებლობას.

კომკავშირული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით უნდა ავითარებდნენ კომკავშირელთა და

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები

გაიმართა თბილისის კიროვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის XVII კონფერენცია. დელეგატები ყურადღებით ათვალიერებდნენ დარბაზში გამოფენილ საოჯახო ნივთებს, ფეხსაცმელს, მრავალნაირ ქსოვილებს. კედელზე გაკრული დიაგრამები მნახველთ მოუთხრობდნენ რაიონის საწარმოთა კოლექტივების წარმატებებზე, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში რაიონის საწარმოებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, 15 დეკემბრისათვის ვადამდე შეასრულეს წლიური დავალება და ქვეყანას გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია მისცეს. ბევრი საწარმო წარმატებით ასრულებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობა, რომელმაც ჯერ კიდევ 10 დეკემბრისათვის შეასრულა მიმდინარე წლის საწარმოო დავალება, ამასთან საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ვ. სირაძემ და კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ახლა ისინი უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის გაშლას საწარმოებში, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

აღნიშნეს რა რაიკომისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის წარმატებანი, ამასთან ერთად კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე, გააკრიტიკეს ნაკლოვანებანი. განსაკუთრებით ბევრი საყვედური გამოთქვეს რაიონის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ხარვეზების გამო.

კამათში გამოსულებმა გააკრიტიკეს პარტიის რაიკომი იმისათვის, რომ მან მთლიანად არ შეასრულა წინა პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების დარგში. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, სამრეწველო პროდუქციის გასადიდებლად მოუქნელად მუშაობენ სარეწაო საბჭოს სისტემის საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში არ იცავენ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტს.

მოხსენებიდან და კამათის მონაწილეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული მუშაკები, რომლებიც მასებთან ნამდვილ კავშირს მოჩვენებითი კავშირით ცვლიან. ასეთი მუშაკები ღრმად არ იცნობენ ცხოვრებას, ყურს არ უგდებენ ადამიანების ხმას, რის გამო ვერ ამჩნევენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ასეთია, მაგალითად, მარჯვენა ნაპირის კვებვაჭრობის პარტბიუროს მდივანი ვ. ბოლქვაძე, რომელიც კონფერენციის დელეგატი იყო. გამოვიდა რა სიტყვით კონფერენციაზე, მან ბევრი ილაპარაკა თბილკვებვაჭრობის მიღწევებზე, ამის დასადასტურებლად გასული წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლებიც კი მოიშველია. ამხ. ბოლქვაძემ კონფერენციის ტრიბუნიდან გულდამშვიდებით განაცხადა, რომ სავაჭრო ქსელში საგრძნობლად შემცირდა ზომა-წონაში მოტყუების, მომხმარებლებისადმი უხეშად მოპყრობის შემთხვევები, სავაჭრო ქსელში კადრების შერჩევის საქმეც უნაკლოდ დასახა. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ თბილკვებვაჭრობის ქსელის, მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტის მუშაობაში კვლავ ვხვდებით დამახინჯებებს, ადგილი აქვს კადრების არასწორად შერჩევის, სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებს.

— კიროვის რაიონში, — განაცხადა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. კობალაძემ, — წლითიწლობით უმჯობესდება საბინაო ფონდის დაცვის საქმე. მაგრამ არის ნაკლიც. დღეისათვის 262 სახლი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. რაისაბჭოს აღმასკომი, საბინაო სამმართველო, სარემონტო კანტორა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლის, ვაჭრობის კულტურის ამაღლების, საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვის, აზალგაზრდობის აღზრდის საკითხების შესახებ ილაპარაკეს დელეგატებმა ა. ანტონოვამ (საქტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი), ა. გოგუაძემ (მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ლ. ჩიქვანაიამ (კომკავშირის რაიკომის მდივანი), ა. ტიტკოვმა (რაიმილიციის განყოფილების უფროსი) და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ი. ქადაგიძე, რომელმაც ილაპარაკა საწარმოებსა და დაწესებულებებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ვ. სირაძე, მეორე მდივნად — გ. გაფრინდაშვილი, მდივნად — შ. კულულაშვილი.

ა. ბოცირიძე.



თბილისი. ახალ სამეურნეო წელს საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან თბილისის საწარმოთა მოწინავე ადამიანები. **სურათზე:** კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ხარატი რ. სოხაძე, რომელმაც 1956 წელს 2,5 წლის ნორმა შეასრულა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი საამქრო

სტალინირის მექანიკურ ქარხანაში 1957 სამეურნეო წლისათვის, როგორც ამ ქარხნის მუშაკი ამხ. ა. ბულგაკოვი გვწერს, გულდასმით მოემზადნენ. უკვე მზად არის ასამუშავებლად ქარხნის „ლითონსამსხმელო“ საამქრო, რომელიც „ლითონსხმულის გამოშვებას იანვრის პირველ დღეებში შეუდგება.

გეგმის გადამეტებით

ხაშურის აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორი ამხ. ს. პაქსაშვილი რედაქციას სწერს, რომ ამ ქარხნის კოლექტივმა აგურის გამოშვების 1956 წლის გეგმა 9 დეკემბრისათვის შეასრულა 100,7 პროცენტით, ხოლო კრამიტის გამოშვების გეგმა — 110,7 პროცენტით.

თბილისის მუშა და სოფლის კორესპონდენტების კრება

გუშინ, 28 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომების დარბაზში გაიმართა თბილისის მუშა და სოფლის კორესპონდენტების კრება. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური და მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკებმა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მ. გაფრინდაშვილმა.

მოხსენება „ქალაქ თბილისის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ.

კამათის მონაწილე მუშა და სოფლის კორესპონდენტები ლაპარაკობდნენ გაზეთების როლზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, ილაპარაკეს ძირეული პრესის მუშაობაზე.

მუშა და სოფლის კორესპონდენტების საქალაქო კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა თბილისის ყველა მუშა და სოფლის კორესპონდენტისადმი.

კრებაზე აირჩიეს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატები. (საქდესი).

მივაწოდოთ მომხმარებლებს მაღალხარისხოვანი სამრეწველო საქონელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სავაჭრო ქსელი, შესამჩნევად გაუმჯობესდა მისი მუშაობა, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები წარმატებით ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს, თავდადებით იბრძვიან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ თბილმრეწვაჭრობის უნივერმაღი, №№ 79, 22, 2, 24, 52, საჩუქრების და სხვა მაღაზიები. მრავალმა დახლის მუშაკმა მომხმარებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მაგრამ სამრეწველო საქონლით ვაჭრობის საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით ნაკლოვანებებსაც. რუსთაველის პროსპექტზე თბილუნივერვაჭრობის № 33 მაღაზიაში 4 ნოემბერს ვნახეთ ბავშვის ფეხსაცმელი № 28 და 29. ორივე დეფექტიანი აღმოჩნდა. მომხმარებლები ე. კაზიშვილი და გ. პეტროსიანი აღშფოთებული ამბობდნენ:

— როგორც კი ჩვენმა პატარებმა ფეხსაცმელში ფეხი ჩადგეს, ერთს ქუსლი ასძვრა, მეორეს კი ძირი გავარდა... ნუთუ ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივი პასუხისმგებლობას არ გრძნობს პროდუქციის გამოშვებისათვის?!

თბილისის მთელი რიგი ფაბრიკები და სარეწაო საბჭოს საწარმოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ზოგჯერ არაკეთილხარისხოვან საქონელს უშვებენ; არტელ „ძაფმაუდიდან“ თბილმრეწვაჭრობამ მიიღო 2.812 მეტრი შალის ქსოვილი, აქედან 392 მეტრი გადაყვანილ იქნა დაბალ ხარისხში, ხოლო 299 მეტრი არაკეთილხარისხოვანი აღმოჩნდა. ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკიდან მიღებულ 4.100 წყვილი ფეხსაცმლიდან 202 წყვილი წუნდებული გამოდგა. თბილისის ავეჯის კომბინატის მიერ გამოშვებული 30 საწოლიდან 7 ცალი დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი. ამავე კომბინატიდან მიღებული იყო 10 საწერი მაგიდა წიგნსაცავით, მათგან 9 არაკეთილხარისხოვანი აღმოჩნდა. ზოგიერთი მომწოდებელი ორგანიზაცია თავის დროზე არ აწვდის საქონელს თბილმრეწვაჭრობას. მარტო სარეწაო საბჭოს წარმოებებმა 2 მილიონნახევარი მანეთის ავეჯი დააკლეს თბილმრეწვაჭრობას.

ბევრ მომხმარებელს სურს გემოვნებით შეიკეროს ტანსაცმელი ატელიეში, სამკერვალოში. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ზოგჯერ იმედგაცრუებული რჩებიან. ამ მხრივ დამახასიათებელია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სატრიკოტაჟო-სამკერვალო № 1 ატელიეს (დირექტორი რ. ღლონტი) მოუქნელი მუშაობა. შემოწმების დროს, 29 ნოემბერს, აღნიშნულ სამკერვალოში მათი პროდუქციის შესახებ ქ. ფრუნზეიდან მიიღეს ცნობა, რომ 1.134 ცალი ქალის აბრეშუმის ზედა საცვალი ცუდად არის შეკერილი. ასეთივე ცნობა მიიღეს ქ. სტალინაბადიდან, სადაც მდგომარეობის შესასწავლად სასწრაფოდ გაეგზავნა პარტბიუროს მდივანი რ. თვალავაძე. არაკეთილხარისხოვნობის წყარო აი სად იმალება:

— საინტერესოა, როგორ გადაგრჩათ ზედმეტად 8 კილოგრამი სპერანგე ძვირფასი მატერია ტრიკოტინი? — კითხეთ გამომჭრელ მ. ტარიანიკს.

— რა ვიცი, ხდება ასეც!...

გამომჭრელი მ. ტარიანიკი ანგარიშში არ ტყუვდება: 8 კილოგრამი ტრიკოტინიდან 25 ცალ პერანგს შეკერავენ და „თავის“ გზას მიუჩენს. მასვე ზედმეტად აღმოაჩნდა 19 ცალი მამაკაცის შეკერილი პერანგი.

ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები აქ იშვიათი როდია. გამომჭრელ ლ. ვაჩნაძეს შემოწმების დროს გადამეტებით აღმოაჩნდა 5 ცალი მამაკაცის პერანგი, ერთი ძვირფასი პიჟამა; გამომჭრელ ა. კოროლიოვას კი გადამეტებით აღმოაჩნდა 11 ცალი მამაკაცის პერანგი და ძვირფასი ქსოვილი, რომლიდანაც 60 ცალი მამაკაცის ზედა პერანგი გამოვიდოდა.

— რატომ გაქვთ 11 ცალი პერანგი გაუფორმებელი? — ამ კითხვაზე კოროლიოვამ გვიპასუხა:

— გაფორმება გადამავიწყდა...

როგორც ჩანს, აღნიშნულ სამკერვალოში აღრიცხვა მოუგვარებელია, ბოროტმოქმედნი თავისუფლად აფათურებენ ხელს სახელმწიფო ქონებაში, აბუჩად იგდებენ საბჭოთა მომხმარებელს...

ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა სამრეწველო საქონლით სპეკულაციის შემთხვევები. ასეთ ფაქტებს შეხვდებით სკომისიო მაღაზიებს, უნივერმაღების წინ, საკოლმეურნეო ბაზრებში.

16 ოქტომბერს ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მოქალაქე ნ. სტალოვეროვასა და ფ. გაბნიტოვსკაიას სპეკულანტები მ. დავარაშვილი და ო. დოლიაშვილი შეხვდნენ, მათ საპალტოე შესთავაზეს. „მომხმარებლები“ სპეკულანტებმა აზიზბეკოვის ქუჩაზე მიიწვიეს.

— რა ფერის, რა ქსოვილი გსურთ! აირჩიეთ!.. და სამი მეტრი ქალის საპალტოე დრაფი სპეკულანტებმა 1.500 მანეთად მიჰყიდეს, 500 მანეთი მეტი დასტყუეს.

საავაჭრო ქსელის პატიოსანი კადრებით დაკომპლექტება დიდმნიშვნელოვანი საქმეა, დამახინჯებათა აღმოფხვრის ერთ-ერთი საწინდარია. მაგრამ ამ საქმეში ვხვდებით ნაკლოვანებებს. თბილმრეწვაჭრობის № 238 მაღაზიაში მუშად გაფორმებულია ი. კულიჯანოვი. წინათ ის გამყიდველად მუშაობდა აქვე. მაგრამ მის შესახებ დაწერილ ახალ № 400 ბრძანებაში ვკითხულობთ: დაინიშნოს მუშად თაახმად თავისი განცხადებისა. კულიჯანოვი ნასამართლევია. თბილმრეწვაჭრობის მუშაკებში მისი ასე „გაფორმება“ ეჭვს იწვევს... № 240 მაღაზიაში უფროს გამყიდველად მიღებულ იქნა ბ. ფარლაგაშვილი, რომელიც სამჯერ იყო გასამართლებული.

№ 63 მაღაზიის ყოფილი სექციის გამგე ჰ. აკოფოვი, რომელიც რამდენჯერმე იყო დასჯილი ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, ბოლოს დანაშაულისათვის პასუხისგებაში მისცეს. თბილმრეწვაჭრობის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ კადრების დარგში ამხ. ტყაბლაძემ კი მას პროკურატურაში წარსადგენად საუკეთესო დახასიათება მისცა.

სამწუხაროდ, წესრიგზე არ არის მაღაზიების აღრიცხვა-გაფორმების საქმე. კიროვის რაიონის გადახურული საკოლმეურნეო ბაზრის წინ არის სამრეწველო მაღაზია, რომელსაც არტელ „გამარჯვების“ № 4 მაღაზიის აბრა აქვს გაკრული. ნამდვილად კი ეს მაღაზია თბილმრეწვაჭრობას ეკუთვნის, მისი ნომერია 188 (გამგე შ. პატარკაციშვილი).

სამრეწველო მაღაზიებში ბევრი მოწინავე მუშაკია, მრავლად არიან საუკეთესო მომსახურების ბრიგადები. მაგრამ მათი გამოცდილების განზოგადოებას ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ფორმალიზმია სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეშიც. სისტემატურად არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

სავაჭრო ქსელის მუშაკთათვის იშვიათად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები მათთვის საინტერესო თემებზე.

სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზიები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ, ამას მოითხოვენ მომხმარებლები.

„კომუნისტის“ ბრიგადა: ვ. სუხიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზეინკალი. კ. კაჭახიძე, ა. სხვაველი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ლენინის რაიონში სავაჭრო ქსელის მუშაობა უნდა გარდაიქმნას“

ჩვენი გაზეთის 9 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა „კომუნისტის“ რუბრიკის მონაწილეთა წერილი ლენინის რაიონის სავაჭრო ქსელის მუშაობის მთელ რიგ ნაკლოვანებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მარკეტინგი ნაპირის თბილკვებვაჭრობის ტრესტმა „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. რუბრიკის მონაწილეთა მიერ მხილებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახულია ქმედითი ღონისძიებანი. საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებისათვის სასჯელი დაედოთ ვაჭრობის მთელ რიგ მუშაკებს. № 225 მაღაზიაში უხარისხო ნამცხვრის გამოტანისათვის მცხობელები ე. ვერხოტუროვა და შ. ფარქოსაძე მოხსნილი არიან სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცა პროკურატურას. ამავე მაღაზიის გამყიდველს რ. მუზაშვილს საყვედური გამოეცხადა, ხოლო მაღაზიის გამგეს გ. წიფლიშვილს სუსტი კონტროლისათვის — სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

მაღაზიაში გასასყიდად გამოტანილი საქონლის ფასების გამოუცხადებლობისა და საქონლის ასორტიმენტის დაუცველობისათვის № 42 მაღაზიის გამგეს ს. ჩეხოევს და № 66 მაღაზიის გამგეს ი. შავყელიშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით. დადასტურდა, რომ № 188 კიოსკში ადგილი ჰქონდა მაგარი სასმელებით სპეკულაციას, რისთვისაც კიოსკის გამგეს ი. ინგოროყვას სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

მეხილეობის ახალი აღმავლობისათვის

საქართველოს მეხილეობის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს. ამიტომ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მეექვსე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია 17 ათასი ჰექტარი ახალი ბაღების გაშენება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 30 ივნისს მიიღეს დადგენილება „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

ამ დადგენილებას გორის რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ.

მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა განიხილა ჩვენს რესპუბლიკაში მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების საკითხი. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოვლის გაუმჯობესებისა და ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენების უზრუნველსაყოფად. პლენუმის გადაწყვეტილებებით სერიოზული ამოცანებია დასახული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეებისა და მექანიზატორების წინაშე.

ცნობილია, რომ მეხილეობა გორის რაიონის კოლმეურნეობების ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. რაიონში ხეხილის ბაღების ფართობი 10.097 ჰექტარს შეადგენს; აქედან კოლმეურნეობებშია 4.170 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებსა და საცდელ სადგურებში — 785 ჰექტარი. ბაღების მთელი ფართობიდან თესლოვან ხილს უკავია 7.590 ჰექტარი, ხოლო კურკოვან ხილს — 2.507 ჰექტარი.

მეხილეობიდან კოლმეურნეობათა ყოველწლიური შემოსავალი მათი მთელი შემოსავლის 40-50 პროცენტს აღემატება, ხოლო კარგი მოსავლის დროს ეს შემოსავალი მთელი ფულადი შემოსავლის 60-65 პროცენტს შეადგენს. 1954 წელს რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 65 მილიონ მანეთს უდრიდა, აქედან 35 მილიონი მეხილეობიდან იყო მიღებული. მიმდინარე წელს სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 126 ცენტნერი ხილი მოიყვანეს. კოლმეურნეობაში ხილის საერთო მოსავალმა გადააჭარბა 1.200 ტონას, რამაც კოლმეურნეობას ფულად 6 მილიონი მანეთი მისცა. ამ წელს კოლმეურნეობაში თვითეულ შრომადღეზე 46 მანეთი გასცეს და 800 ათასი მანეთი განუყოფელ ფონდში გადარიცხეს.

ჩვენი რაიონის მოწინავეთა მუშაობის მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულად და დროულად განხორციელების შედეგად ყოველწლიურად შეიძლება ხილის მაღალი მოსავლის მიღება. სოფელ ქვემის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში“ მუშაობს ცხობილი მეხილე კოლმეურნე ს. ცაციაშვილი. მოსაგლელად მიჩენილი ერთი ჰექტარი ხეხილის ბაღიდან ამხ. ცაციაშვილი ყოველწლიურად 500-650 ცენტნერ ვაშლს იღებს. წელს მან ამ ფართობზე 670 ცენტნერი ვაშლი მოიყვანა. მხოლოდ ამ ერთმა ჰექტარმა კოლმეურნეობას 325 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა. ბევრი სახელგანთქმული მებაღე მუშაობს კარალეთის, ხელთუბნის, კარბისა და ტყვიავის კოლმეურნეობებში, ვარიანის და ქიზნისის საბჭოთა მეურნეობებში.

1955 წლის შემოდგომასა და მიმდინარე წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეულია სერიოზული მუშაობა ხეხილის ბაღების მოვლისა და დამუშავებისათვის. ამან სასურველი შედეგი გამოიღო.

არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად წელს გორის რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 9 ათას ტონაზე მეტი ხილი და დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან მოსავლიანობის გადიდების რეზერვები მთლიანად არ არის გამოყენებული და დიდ ნაკლოვანებებს ვხვდებით. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სისტემატურად ისე არ უვლიან ხეხილის ბაღებს, როგორც ამას აგროტექნიკა მოითხოვს. იმის გამო, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი გადამწყვეტ ბრძოლას არ ეწევიან ბაღების მოვლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, შინდისის ლენინის სახელობის, ვარიანის გოგებაშვილის სახელობის, ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის, ბერშუეთის რუსთაველის სახელობის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობები ყოველწლიურად ხილის დაბალ მოსავალს იღებენ. შინდისის კოლმეურნეობას 140 ჰექტარი მსხმოიარე ბაღი აქვს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამ სასოფლო-სამეურნეო არტელს არც ერთ წელს ჰექტარზე 10-15 ცენტნერზე მეტი მოსავალი არ მიუღია. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ბაღების მიმდინარე სამუშაოები დაწესებულ ვადებში არ სრულდება, მინერალური და ორგანული სასუქები მცირე რაოდენობით შეაქვთ, ხეხილის რწყვაც არარეგულარულად წარმოებს.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები სისტემატურად არ მუშაობენ მეხილეობაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. იშვიათად განვიხილავთ მებაღეობის საკითხებს ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები და სათანადო სამინისტროებიც აქამდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ მეხილეობის განვითარებას.

გორის, ახალსოფლისა და ტყვიავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს არა აქვთ იმდენი ტექნიკა, რომ დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად მოაწყონ ბაღის სამუშაოები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს გორის რაიონის მტს-ებისათვის მომავალი წლის პირველ კვარტალში 40 ტრაქტორის გამოყოფა, რაც ძირფესვიანად შეცვლის მდგომარეობას ბაღების დამუშავებაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი ბაღების გაშენება გვიხდება ფაქტიურად მოუმზადებელ ნიადაგზე. აგროტექნიკა ითვალისწინებს ბაღის გასაშენებლად ნიადაგის გადაბრუნებას 50-60 სანტიმეტრზე, ფაქტიურად კი გაშენებას ვაწარმოებთ 30 სანტიმეტრის სიღრმის ხნულზე, იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს მძლავრი ტრაქტორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა საბაღედ მიადაგის მომზადების უზრუნველყოფა. ამ მხრივაც დაგვჭირდება სათანადო დახმარება.

უკანასკნელ ხანს შემცირდა რაიონში ხეხილის ბაღებისათვის მინერალური სასუქების შეზიდვა, ეს მაშინ, როცა ასეთი სასუქები ხილის მოსავლიანობის გადიდებაზე ძალიან ეფექტიანად მოქმედებს. 1953 წლის შემოდგომასა და 1954 წლის გაზაფხულზე, როცა ბაღებში დიდი რაოდენობით იქნა შეტანილი მინერალური სასუქები, ყველაზე მაღალი მოსავალი — 30 ათასი ტონა ხილი მივიღეთ. საჭიროა მარტო ხეხილის ბაღებისათვის გორის რაიონს გამოეყოს 3.500-4.000 ტონა მინერალური სასუქები.

ქართლის რაიონებში ხილის დაბალი მოსავლის მიზეზი, ყველა სხვა მიზეზთან ერთად, სარწყავი წყლის დიდი ნაკლებობაა. ამას თან ერთვის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მისი სასისტემო სამმართველოების ცუდი მუშაობა. არხების სათავეები, მაგისტრალური არხები და სარწყავი ქსელი ტირიფონისა და სალთვისის არხებზე მთლიანად მოუწესრიგებელია. ეს იწვევს სარწყავი წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვას.

წყალთა მეურნეობის სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები ტირიფონის არხის სათავის შეკეთებისათვის და ეს სამუშაო მოკლე დროში დაამთავროს.

როგორც ცნობილია, ქართლის რაიონებში, განსაკუთრებით კი გორის რაიონში, მეხილეობას სამრეწველო ხასიათი აქვს. გორის რაიონში არის ვაშლის, მსხლისა და ატმის საუკეთესო ჯიშები, რომლებიც მაღალი ხარისხობით, შესანიშნავი გემოვნებით ხასიათდებიან და კარგად უძლებენ შორ მანძილზე გადატანას. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოველმხრივ მიზანშეწონილი და გამართლებულია ჩვენს რაიონში უფრო ფართო გასაქანი მიეცეს სამრეწველო მეხილეობის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ბაღების უკეთესი მოვლითა და დამუშავებით მივაღწიოთ იმას, რომ მეექვსე ხუთწლედის ბოლოს ხილის საერთო მოსავლიანობა რაიონში ავიყვანოთ 40-45 ათას ტონამდე. ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობებში გავაშენებთ 1.950 ჰექტარ ახალ ბაღებს, შევავსებთ 1.000 ჰექტარ გამეჩხერებულ ბაღებს. ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა 600 ჰექტარით გაფართოვდება და ქიზნისის საბჭოთა მეურნეობა — 100 ჰექტარით.

ხეხილის ბაღების ფართობებისა და ხილის მოსავლიანობის ასეთი ზრდა გვაკისრებს ამოცანას გავაძლიეროთ მუშაობა ხილის გადამუშავების ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გორში აშენდეს 3-4 ათასი ტონის ტევადობის ხილის შესანახი მაცივარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე სამართლიანად გაგვაკრიტიკეს ატმის კულტურისადმი უყურადღებობისათვის. აქედან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ.

უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით გავაშენეთ ატამი როგორც კოლმეურნეობებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე. შარშან 4 კოლმეურნეობაში მოვაწყეთ ატმის სანერგეები, 1957 წლის გაზაფხულზე 40 ჰექტარ ატმის ბაღს გავაშენებთ.

გორის რაიონში არსებობს მებაღეობა-მევენახეობის საკვლევი ინსტიტუტის საცდელი სადგური, რომელსაც ბაზა აქვს სოფელ სკრასა და ქ. გორში. საცდელი სადგური სერიოზულ მუშაობას ეწევა ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანისა და შერჩევისათვის, აგრეთვე მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის.

მაგრამ მეხილეობის საცდელი სადგურის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. საცდელი სადგურის ხელმძღვანელობა მთლიანად ვერ იყენებს იმ რესურსებს, რომლებიც მას მოეპოვება სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესებისა და მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის. საცდელი სადგური განიცდის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ნაკლებობას. რაცა აქვს, ისიც ძალიან მოძველებულია. გორის ბაზას ლაბორატორიული მუშაობისათვის ვარგისი შენობა არა აქვს.

საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქმედითი დახმარება გაუწიოს საცდელ სადგურს, ამასთან გაუმჯობესოს ხელმძღვანელობა და კონტროლი სადგურის საქმიანობისადმი.

გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის დადგენილება. ისინი თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში ისე მოაწყობენ მუშაობას, რომ მიაღწიონ მეხილეობის სწრაფ აღმავლობას და ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი ხილი მისცენ დედა სამშობლოს.

ი. რთველიაშვილი,
საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი.

უფრო მეჯად განვამტკიცოთ სამეურნეო და კულტურული კავშირი მოძმე რესპუბლიკებთან

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანები თავდადებულ შემოქმედებითს შრომას ეწევიან კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის.

XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საყოველთაოსახალხო ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფკავშირული ორგანიზაციები. მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები განახორციელა ამ მიმართულებით პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელიც აქტიურად იბრძვის რესპუბლიკის მშრომელთა აღზრდისათვის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

რამდენიმე ხნის წინათ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დაიდო საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელებს შორის. ორი მოძმე რესპუბლიკის მუშათა და კოლმეურნეთა გამოცდილების საფუძვლიანად შესწავლა და ერთმანეთისათვის გაცნობა, ყოველივე ახლის, პროგრესულის გავრცელება წარმოებაში — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ხელს შეუწყობს ორი რესპუბლიკის გეგმების წარმატებით შესრულებას.

ამ მიზანს ისახავდა პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ქ. ბაქოში გაგზავნილი პროფმუშაკთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა აზერბაიჯანელ მეგობრებთან 5-დან 9 დეკემბრამდე. დელეგაციის წევრები დაწვრილებით გაეცნენ მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის ბაქოსა და მეტალურგთა ახალი ქალაქის სუმგაითის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება აქ ნოვატორთა, გამომგონებელთა და წარმოების რაციონალიზატორთა მეთოდებისა და მიღწევების ფართო პროპაგანდისათვის.

ყურადღებას იპყრობს აზერბაიჯანის პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ ინიციატივა. ისინი რეგულარულად აწყობენ რეიდებს საწარმოთა კოლექტივების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად და შედეგებს აქვეყნებენ გაზეთის ფურცლებზე.

პროფკავშირული ორგანიზაციები რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ სადგურებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ შრომის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვას. ამ მიზნით სისტემატურად გამოდის პლაკატები, საინფორმაციო ფურცლები, ბიულეტენები, ბრიგადურები.

ჩვენი რესპუბლიკის პროფმუშაკთა დელეგაციის წევრები აღტაცებით ლაპარაკობენ იმ გულთბილ და მეგობრულ შეხვედრებზე, რაც მათ მოუწყეს მოძმე აზერბაიჯანის მშრომელებმა.

მომავალი წლის დასაწყისში თბილისში ჩამოვა აზერბაიჯანის პროფმუშაკთა დელეგაცია. ღონისძიებებს, რომლებიც პროფესიული ორგანიზაციების ხაზით ხორციელდება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე რესპუბლიკათა შორის ძმური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები წარმატებით იყენებენ მრავალფეროვან საშუალებებს — მოხსენებებს, საუბრებს, მეგობრულ მიწერ-მოწერას და ინტერნაციონალურ საღამოებს.

პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად 24 და 25 ნოემბერს თბილისის საწარმოთა კლუბებში, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების თეატრებსა და კულტურის სახლებში მოაწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამოები.

თბილისში საღამო ერთდროულად ჩატარდა 18 კლუბში. საღამოებში, რომლებიც მოეწყო კიროვის სახელობის ქარხნის კლუბში, გორკის სახელობის კულტურის სახლში და თბილისის მასწავლებლის სახლში, მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებმა, რომლებიც საწარმოო პრაქტიკაზე იყვნენ კიროვის სახელობის ქარხანაში.

25 ნოემბერს რესპუბლიკის რაიონებში გამართულ კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან ჩასულმა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა, რომლებშიც 550-ზე მეტი შემსრულებელი იყო.

ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად და მოძმე რესპუბლიკების სკოლებთან, მასწავლებლებთან და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე დარაზმონ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XX ყრილობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, დაუცხრომლად იბრძოლონ სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ნ. შველიძე.

ლიტერატურა და ხელოვნება

ჩინელი მწერლები აჭარაში

ბათუმი. (საკ. კორ.). თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდნენ ჩინელი მწერლები: იან-ჩენი (ბეჯინის ჟურნალის „პოლიტიკური მიმომხილველის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანძინი (შანხაის მწერალთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარე) და გები-ჯოუ (შანხის მწერალთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარე).

რკინიგზის ბათუმის სადგურზე ჩინელ სტუმრებს შეხვდნენ ბათუმში მომუშავე მწერლები. იმავე დღეს ჩინელები გაემგზავრნენ მახარაძეში, სადაც დაათვალიერეს მოწინავე კოლმეურნეობები, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ბათუმში ყოფნისას ჩინელმა მწერლებმა მწერალ პ. ლორიას თანხლებით დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ესაუბრნენ ადგილობრივ მწერლებს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე.

ვილის ლაცისის რომანი ქართულად

საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე და ცნობილი ლატვიელი მწერალი ვილის ლაცისი რამდენიმე რომანის ავტორია. ვ. ლაცისის მხატვრულ ნაწარმოებებში რეალისტურად არის ასახული ლატვიელი მშრომელი ხალხის ცხოვრება კაპიტალისტური ჩაგვრის პირობებში, ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური უკუღმართობა და მშრომელთა თავდადებული ბრძოლა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ახლახან საბჭოგამმა ქართულ ენაზე გამოსცა ვილის ლაცისის ცნობილი რომანი „ახალი ნაპირისაკენ“. რომანი დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდშია დაწერილი. მასში ასახულია მომძე ლატვიელი ხალხის ცხოვრება ლატვიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველი დღეებიდან საბჭოთა ლატვიაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამდე.

ვილის ლაცისის რომანი „ახალი ნაპირისაკენ“ ლატვიურიდან თარგმნა რუთა ბეროძემ. წიგნის რედაქტორები არიან პლ. ბენია და თ. სულიაშვილი. გაფორმება ეკუთვნით მხატვრებს ვ. ტოროტაძეს და გ. გულისაშვილს. წიგნს დართული აქვს შ. სულაბერიძის წერილი ვილის ლაცისის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წიგნის ტირაჟია 7.000, ფასი 14 მან.

მაია პლისეცკაიას გასტროლები



სცენა ბალეტიდან „გედების ტბა“.

• • •

საბჭოთა ბალეტის გამოჩენილი ოსტატის — რსფსრ სახალხო არტისტის მაია პლისეცკაიას და ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავის — დიდი თეატრის სოლისტის ნიკოლოზ ფადეეჩევის გასტროლებს თბილისელი მაყურებელი ნამდვილი აღფრთოვანებით შეხვდა. ამის მკაფიო დადასტურება იყო მაყურებლებით გაჭედილი ოპერის თეატრის დარბაზი და აღტაცებული ოვაციები, რომლებითაც მადლიერი მაყურებელი შესანიშნავ მოცეკვავეთა ბრწყინვალე ოსტატობას. მაღალი მომთხოვნი თბილისელი მაყურებელი მაია პლისეცკაიამ ჯერ კიდევ 1952 წელს მოხიბლა, როდესაც იგი საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისში. უკვე მაშინ მან თავი გამოიჩინა როგორც მგზნებარე სულისკვეთების მოცეკვავემ, დრამატული ნიჭის მსახიობმა, ამავე დროს კლასიკური ცეკვის ვირტუოზმა ოსტატმა.

ამჯერად ჩვენმა მაყურებელმა მაია პლისეცკაია ნახა ორ საბალეტო სპექტაკლში — „გედების ტბაში“ და „ბახჩისარაის შადრევანში“.

ოდეტა-ოდილიას სახე ჩაიკოვსკის კლასიკურ ბალეტ „გედების ტბაში“ ერთ-ერთი ურთულესია კლასიკურ საბალეტო რეპერტუარში. შეიძლება ითქვას, რომ პლისეცკაიას მიერ წარმოსახული ოდეტა-ოდილია არაფრით არ ჩამოუვარდება მისი დიდი წინამორბედების მიერ მაღალი ხელოვნებით წარმოდგენილ ამ სახეს.

პლისეცკაიას ოდეტა ლირიკული, ნარნარი და სულით ფაქიზია. საოცრად მეტყველი მისი ხელების ყოველი მოძრაობა, ტანის ყოველი მიმოხვრა ქმნის თეთრი გედის მომხიბვლელ და დაუვიწყარ სახეს.

კიდევ უფრო დიდ წარმატებას აღწევს მაია პლისეცკაია ჯადოქრის ქალიშვილის ოდილიას სახის შექმნისას. ეს სახე საოცრად შეესაბამება მსახიობის ინდივიდუალურ თვისებებს. აქ მას მთელი ძალით შეუძლია გამოამჟღავნოს თავისი მგზნებარე ტემპერამენტი, ბრწყინვალე ეფექტიანი ტექნიკა. ოდილიას სახეს პლისეცკაია ხატავს მკვეთრი, ლოკალური ფერებით, იგი მას ბოროტების სიმბოლოდ აქცევს, რითაც დიდ იდეურ ეფექტს აღწევს.

ზარემას როლი ბ. ასაფიევის ბალეტ „ბახჩისარაის შადრევანში“ ახალგაზრდა მოცეკვავის პირველი დიდი შემოქმედებითი წარმატება იყო დიდი თეატრის სცენაზე. მის შემდეგ მ. პლისეცკაიამ კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა ეს სახე, ახალი ფერები შემატა მას.

გირეის საყვარელი ცოლის — ზარემას დრამას პლისეცკაია გადმოსცემს ღრმად, დიდი ექსპრესიით. აქაც, ისევე როგორც ოდილიას როლში, მსახიობს ხელს უწყობს მისი ინდივიდუალური თვისებები.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ახალგაზრდა მოცეკვავემ ნიკოლოზ ფადეეჩევმა, რომელიც პირველად ნახა თბილისელმა მაყურებელმა ზიგფრიდისა და ვაცლავის როლებში. მისი ცეკვა დახვეწილია, თამაში გააზრებული და ცეკვასთან ორგანულად შერწყმული, ნახტომი მაღალი და მსუბუქი. ნ. ფადეეჩევის ხელოვნება მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებს.

საბჭოთა ბალეტის შესანიშნავი ოსტატების მ. პლისეცკაიას და ნ. ფადეეჩევის გასტროლები ჭეშმარიტად სასახარული მოვლენაა თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში.

ე. დავითაშვილი.

საავტორო კონცერტები

ჩვენ ბევრჯერ გვინახავს მოსკოვში ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, რომლის შემოქმედება ფართო პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა საზოგადოებრიობაში, კერძოდ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის საზოგადოებრიობაში. მოსკოვში იგი ჩამოდის ხან როგორც კომპოზიტორი, ხან როგორც დირიჟორი, ხან კიდევ როგორც ერთიც და მეორეც ერთად.

ამჯერად ო. თაქთაქიშვილი მოსკოვში ჩამოვიდა როგორც ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოში ო. თაქთაქიშვილმა წარმოადგინა თავისი ახალი სიმფონიური პოემა „მწირი“. ამ ახალ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა მუსიკის ისეთმა ავტორიტეტებმა, როგორიც არიან შოსტაკოვიჩი, შაპორინი, კობალევსკი, ხრენიკოვი, ხუბოვი და სხვ.

სიმფონიური პოემა „მწირი“ შეტანილი იყო მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტის პროგრამაში. ეს კონცერტი მოაწყო მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიამ. კონცერტის პროგრამაში იყო ო. თაქთაქიშვილის სხვა ნაწარმოებებიც — ორი სიმფონიური მინიატიურა „ელეგია“ და „საჭიდაო“ (რაც პირველად იქნა შესრულებული) და კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად. ამ საღამოზე შემსრულებლებად გამოვიდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სოლისტი—რსფსრ სახალხო არტისტი პროფესორი ლევ ობორინი. დირიჟორობდა ავტორი. საღამოს, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებს, წილად ხვდა დიდი წარმატება. მსმენელებმა მხურვალე ტაშით დაჯილდოეს ავტორი და მისი ნაწარმოებების შემსრულებლები.

ო. თაქთაქიშვილი კონცერტებს გამართავს აგრეთვე რიგასა, ორჯონიკიძესა და დონის როსტოვში. ამ კონცერტების პროგრამაშია პირველი და მეორე სიმფონიები და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები.

ს. რიჟინაშვილი.

მოსკოვი.

ახალი სპექტაკლი

თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ ახალ დადგმად ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ვ. კირშონის კომედია „საუცხოო შენადნობი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის მსახიობმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ზლობინმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ე. დონცოვას, ცეკვების დადგმა დ. მაჭავარიანს.

წარმოდგენაში ძირითადად მონაწილეობას იღებენ თეატრის ახალგაზრდა ძალები — ი. შევჩუკი, ა. ბონდარენკო, მ. მინეევი, ბ. ნიკიფოროვი, ვ. სიმონინა, ო. ვოზნესენსკაია, ა. ლენგი, ნ. ტროიანოვი, ე. პოგოდინა, მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. ზლობინი, ა. ლემერგარდტი, ს. სმორორდინცევი, მსახიობები ი. ლიუბარსკი, ლ. მალოვი, ე. ციმოვი, ა. ლავდოვსკაია და სხვ.

ახალი წიგნები

სახელგამის ბიბლიოთეკის სერიით გამოვიდა შემდეგი წიგნები:

ს. ახვლედიანი—ლექსები. თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 59, ფასი 1 მან. 40 კან.

ზ. ლორთქიფანიძე — ლექსები. თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 59, ფასი 1 მან. 50 კან.

საქმიანი, მეგობრული შეხვედრები

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მომძე რესპუბლიკების სკოლებთან მეგობრული, საქმიანი ურთიერთობის დამყარებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა — პროფაქტივის ორკვირიანი საწარმოო ექსკურსია მოძმე უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებში, რომელიც მიმდინარე წლის 14-30 ნოემბერს მოეწყო.

ქართველი პედაგოგები გულთბილად, სიყვარულით მიიღეს უკრაინისა და ბელორუსიაში. ექსკურსანტები პირველად გაეცნენ უკრაინისა და ბელორუსიის დედაქალაქების კიევისა და მინსკის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს, იყვნენ მუზეუმებსა და თეატრებში, ხოლო შემდეგ შეისწავლეს ქალაქისა და სოფლის მოწინავე სკოლების მუშაობის გამოცდილება. ცალკე საგნების სპეციალისტები დაესწრნენ გაკვეთილებს, მოსწავლეთა პრაქტიკულ მეცადინეობას სახელოსნოებსა და საწარმოებში.

ქალაქ მინსკში ექსკურსანტები დაწვრილებით გაეცნენ მე-10, მე-11, 21-ე, 33-ე, 42-ე და 44-ე საშუალო სკოლების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, მასწავლებელთა დახელოვნებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების მუშაობას. ქ. ბრესტში შეისწავლეს 1-ლი და მე-5 საშუალო სასწავლებლისა და სკოლა-ინტერნატის მუშაობა. გაეცნენ სოფლების პრეობრაჟენსკისა და მალორიტსკის საშუალო სკოლების მუშაობას. აღნიშნული სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ენერგიულ შრომას ეწევიან და მრავალ საინტერესო ინიციატივას იჩენენ პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

მინსკის რაიონის სამოხვალოვისა და ნესვიჟის რაიონების სკოლების მუშაობა საწარმოო პრაქტიკის საუკეთესო ორგანიზაციის კარგ მაგალითს წარმოადგენს. ამ სკოლების მოსწავლეები ეუფლებიან ტრაქტორისტის, კომბაინერის, მებაღე-მემინდვრის და სხვა სპეციალობას, აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობის ცხოვრებაში.

უკრაინის რესპუბლიკაში ექსკურსანტებმა შეისწავლეს ქალაქ კიევის 51-ე, 101-ე, 47-ე, 54-ე, 70-ე და ბელაია ცერკოვისა და მირგოროდის რაიონების სკოლების მუშაობა.

უკრაინისა და ბელორუსიის სკოლების მუშაობის გაცნობამ დაგვანახა, თუ რა დიდ დახმარებას უწევენ სკოლებს სამინისტროები, საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები პოლიტექნიკური განათლებისა და საწარმოო სწავლების რაც შეიძლება უკეთ დაყენების საქმეში.

ქართველი მასწავლებლების მეხსიერებაში დიდხანს დარჩება საბჭოთა ადამიანისათვის ესოდენ დამახასიათებელი დიდი სიყვარულითა და სითბოთი სავსე მეგობრული შეხვედრები, რაც მოუწყეს მათ უკრაინისა და ბელორუსიის განათლების დარგის მუშაკებმა. მალე საქართველოშიც ჩამოვლენ იქაური დელეგაციები.

ხალხთა ძმობასა და მეგობრობას მიეძღვნა საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის 8 დეკემბერს თბილისის მასწავლებლის სახლში მოწყობილი საღამო, რომელსაც დაესწრო მოძმე აზერბაიჯანის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი.

ოქტომბერში თბილისის მასწავლებლის სახლმა კალინინის რაიონის მოწინავე მასწავლებელთა ერთი ჯგუფი 21 კაცის შემადგენლობით ექსკურსიაზე წაიყვანა მოძმე სომხეთის რესპუბლიკაში, ქ. ერევანში. მასწავლებლები იქ გაეცნენ მოწინავე სკოლების მუშაობას და ამ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს. თბილისის მასწავლებლის სახლი უახლოეს დროში ქ. ერევნიდან მოელის სტუმრებს.

ახალქალაქის სომხურმა და ქართულმა პედსასწავლებლებმა მეგობრული კავშირი დაამყარეს ლენინაკანის სომხურ და რუსულ პედსასწავლებლებთან. მიმდინარე წლის მაისში 100-ზე მეტი სტუმარი მოიწვიეს ახალქალაქის პედსასწავლებლებმა ლენინაკანიდან.

სოციალისტური შრომა და ხალხთა მეგობრობა — კომუნიზმის მშენებლობის ქვაკუთხედია. ჩვენი პროფორგანიზაციები ყოველდღიურად და ყოველმხრივ გააძლიერებენ მომავალში ამ მიმართულებით მუშაობას.

თ. აბაშმაძე,

საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჩემი შთაბეჭდილება

ქ. მინსკის 42-ე რუსულ საშუალო სკოლას (დირექტორი ვ. ნიკიფოროვიჩი) აქვს კარგი სახელინკო სახელოსნო, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობით. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კეთილმოწყობილი სადურგლო სახელოსნო, სადაც ჩვენ ვნახეთ სამუშაო ხელსაწყოთა სრული კომპლექტი. ყველაფერი ეს შეძენილია შეფი ორგანიზაციების მიერ.

სოფლის სკოლებიდან ჩვენზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა პუეანის რაიონის მალეჩის საშუალო სკოლამ (დირექტორი ვ. ლაპიცკი). სკოლის მოსწავლეები არდადეგების პერიოდში აქტიურად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. მიმდინარე წლის ზაფხულში კოლმეურნეობაში მათ გამოიმუშავეს 4.500 შრომადღე.

სკოლას აქვს კარგად მოვლილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. გარდა რაიონში გავრცელებული სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურებისა, აგ ბაშენებულია ვაზი, დთესილი იყო საზამთრო, სიმინდი და სხვ. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ნაკვეთის 100 კვადრატულ მეტრ ფართობზე აიღეს 1.142 კილოგრამი საგვიანო კომბოსტო (ექტარზე გადაყვანით — 1.142 ცენტნერი). სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ისე კარგად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა, რომ მის სანახავად მეზობელი კოლმეურნეობებიდან მოდიან.

სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზეა მოწყობილი სტენდი, რომელზეც ასახულია ამ სოფლის კოლმეურნეობის წლიური სამუშაო გეგმა. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ სამუშაოთა ჩვენებას, რომლებიც მოსწავლეებმა არდადეგების პერიოდში კოლმეურნეობაში უნდა შეასრულონ.

ამ სკოლაში და მთელ რიგ სხვა სკოლებში ჩვენ ვნახეთ საპატიო დაფები, რომელთა პირველი სვეტი მიძღვნილია სწავლის ფრიადოსნებისადმი, ხოლო მეორე — საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ადამიანებისადმი. დაფებზე ნაჩვენები არიან აგრეთვე სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სიმწიფის ატესტატით სამუშაოდ წავიდნენ კოლმეურნეობებში და თავი ისახელეს თავდადებული შრომით.

მდიდარი და მრავალფეროვანია ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დატოვა ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის სკოლების მუშაობის შესწავლამ. ეს დამეხმარება მომავალ პრაქტიკულ მუშაობაში.

ნ. თოფურიძე,

ბოლნისის რუსული საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

სურათზე: ექსკურსანტები ათვალიერებენ ბრესტის ისტორიულ ციხეს.

გამოჩენილი მეცნიერი სელექციონერი

პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩის დაბადების 70 და საქმიანობის 45 წლისთავის გამო

დაბადებიდან 70 წელი და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა ცნობილ მკვლევარს და მასწავლებელს პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩს.

პროფესორი ლეონარდ ლეონარდისძე დეკაპრელევიჩი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი სელექციონერია. მას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის მეცნიერები. მისი შრომები საზღვარგარეთაც არის ცნობილი. იგი დიდსა და ნაყოფიერ შრომას ეწევა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და მიწათმოქმედების განვითარებისათვის.

პროფესორი დეკაპრელევიჩი საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების საუკეთესო პოპულარიზატორი და პროპაგანდისტია. მთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად მიძღვნილია საქართველოს კულტურული ფლორის შესწავლისადმი. მან გამოავლინა და შეისწავლა კულტურულ მცენარეთა აქამდე უცნობი ზოგიერთი სახეობა და მათი ფორმები ხორბალში, ლობიოში, სოიასა და სიმინდში.

პროფესორი ლ. დეკაპრელევიჩის მეშვეობით გამოვლინებულმა აბორიგენულმა სახეობებმა და ფორმებმა მინდვრის კულტურებში შესაძლებელი გახადა საქართველოში სელექციური მუშაობის ფართოდ გაშლა. მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილია მრავალი ახალი ჯიში. ასეთებია: ხორბლებში — „დოლი 35-3“, „კახური 44“, „გამარჯვება“; სიმინდში — „იმერული ჰიბრიდი“ და „კაჟოვანა ტიპისა“; ლობიოში — „ცანავა“ და სხვ.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად პროფესორი დეკაპრელევიჩი 1922 წლიდან ეწევა დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ის დაარსებიდან დღემდე შეუცვლელად ხელმძღვანელობს ამ ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის კათედრას. ერთ დროს ხელმძღვანელობდა აგრეთვე აგრონომიულ კათედრას ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში გამოჩენილმა მეცნიერმა დაწერა და გამოაქვეყნა სამოცზე მეტი მეცნიერული შრომა. აღსანიშნავია მისი შრომები მარცვლეულ კულტურებზე, მებამბეობაზე, პარკოსან კულტურებზე, ღომის კულტურაზე და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ხორბლებზე დაწერილი შრომები. ენდემური ფორმების შესწავლის საფუძველზე მან დაადგინა, რომ კულტურული ხორბლების წარმოშობის ერთ-ერთ კერას საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს.

წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესორ დეკაპრელევიჩის შრომას სიმინდის კულტურაზე. საქართველოში სიმინდის სელექცია-მეთესლეობის გაშლას საფუძვლად დაედო მისი შრომები. მან შეისწავლა საქართველოში სიმინდის ჯიშობრივი შემადგენლობა და მათი გაუმჯობესების გზები.

პროფესორმა დეკაპრელევიჩმა აღზარდა მრავალი სპეციალისტი, რომელთაგან ბევრს ამჟამად მეცნიერული ხარისხი აქვს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 16 კაცს მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხი.

ლ. დეკაპრელევიჩი ცნობილია აგრეთვე როგორც საზოგადო მოღვაწე. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა სასელექციო საგზური, რომელსაც იგი დღემდე განუწყვეტლივ უწევს დახმარებას, როგორც მეცნიერული ხელმძღვანელი. გარდა ამისა, იგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის წევრია, არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, არაერთგზის მონაწილეა რესპუბლიკური და საკავშირო თათბირებისა სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის პროფესორი დეკაპრელევიჩი დაჯილდოებულია სამი ორდენით, სამი მედლით და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ვერცხლის მედლით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება და გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

პროფესორი დეკაპრელევიჩი დღესაც მთელ თავის ენერგიას ახმარს საქართველოსა და ამიერკავკასიის მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას.

პროფესორი ი. გათიაშვილი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

სოციალისტური დემოკრატიის ქვეყნების ურთიერთ მოგვიანებლობა

ექიმთა მომზადება

НОВАЯ БОЛГАРИЯ

თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ (1878) ბულგარელი ახალგაზრდობა დიდხანს მედიცინას მხოლოდ საზღვარგარეთ სწავლობდა. პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე ძალიან ცოტას ნახავდით სამედიცინო განათლების მქონე ბულგარელს. 1900 წლამდე 10 ათას მოსახლეზე მოდიოდა 1,6 ექიმი. მხოლოდ 1918 წელს სოფიის უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი. პირველი ოცი წლის განმავლობაში სტუდენტ-მედიკოსთა რიცხვი 100-120 კაცს არ აღემატებოდა.

წყობითია და სწავლების მეთოდით ფაკულტეტი უახლოვდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამედიცინო ინსტიტუტებს.

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ სახალხო მთავრობამ შექმნა პირობები სამედიცინო ფაკულტეტის მუშაობის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. გაიხსნა ახალი კათედრები, ახალი ლაბორატორიები სამეცნიერო მუშაობისათვის; სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში შემოღებულ იქნა სწავლების ახალი მეთოდები, გეგმაზომნობა. 1950 წელს ფაკულტეტი გამოიყო დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად — სამედიცინო აკადემიად, რომელსაც აქვს სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ფაკულტეტები. გარდა ამისა, 1945 წელს პლოვდივის ახალ უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი, რომელიც ახლა გახდა დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი — ი. პ. პავლოვის სახელობის სამედიცინო აკადემია. იგი ამზადებს პროფილაქტიკოს ექიმებს. 1944-45 სასწავლო წელს მედიკოს-სტუდენტთა რიცხვმა მიაღწია 3.800-ს, ხოლო 1947-48 წელს — 7 ათასს. ამჟამად ორივე სამედიცინო აკადემიაში 6.500-მდე სტუდენტი სწავლობს.

სწავლების ვადა 6 წელია. მეექვსე კურსზე სტუდენტები გადიან პრაქტიკას. მეხუთე კურსზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ ისინი ამბარებენ სახელმწიფო გამოცდებს დაწესებული პროგრამით. სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებულები ექიმის წოდებას იღებენ.

უკანასკნელ წლებში სამედიცინო აკადემიებმა გამოუშვეს 4.000-ზე მეტი ექიმი. ყოველწლიურად მარტო სოფიის სამედიცინო აკადემია საშუალოდ 380 ექიმს, 120 დანტისტსა და 100 ფარმაცევტს უშვებს. ეს ახალგაზრდა სპეციალისტები ამრავლებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მრავალთასიან არმიას.

ჟურნალი „ნოვაია ბოლგარია“ № 19.

სახარატო ჩარხი—ავტომატი

НАРОДНЫЙ КИТАЙ

ამასწინათ ნანკინის ჩარხმშენებელ ქარხანაში წარმატებით ითვისეს „1ი 136“ მარკის პირველი სამამული სახარატო ავტომატური ჩარხი.

ახალ ჩარხზე მთლიანად ავტომატიზებულია დეტალების მოწოდება და დამუშავება; ასევე ავტომატურად ხდება სიჩქარეთა გადართვა და ჩარხის გამორთვა. მესამე თანრიგის მუშას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მართოს რამდენიმე ასეთი ავტომატი. ახალ ჩარხს შეუძლია დამუშაოს ყველა ფორმის წნელი და 12 სხვადასხვა ზომის დეტალი. ეს ჩარხი ფართოდ იქნება გამოყენებული საავტომობილო, სატრაქტორო და სხვა ქარხნებში.

ჟურნალი „ნაროდნი კიტაი“ № 23.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემა ჩინეთში

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთში 1956 წელს 1.144 ათასი ცალი საერთო ტირაჟით გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 28-ე და 29-ე ტომები, „ვ. ი. ლენინის მოკლე ბიოგრაფია“, ლენინის „ფილოსოფიური რვეულები“ და სხვა წიგნები.

ამჟამად იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 24-ე ტომი, კრებული „ვ. ი. ლენინი სახელმწიფო აპარატის მუშაობის შესახებ“. წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია გამოიცეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი.

ჩინეთის ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარება

პეკინი, 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ დამთავრდა ელექტროენერგეტიკული მრეწველობის სამმართველოსა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა სრულიად ჩინეთის თათბირი. ამ თათბირზე აღინიშნა, რომ ელექტროენერგიის წარმოება მომავალ წელს მიაღწევს 15.500 მილიონ კილოვატსაათს, რაც 18 და მეტი პროცენტით მეტია მიმდინარე წლის ელექტროენერგიის წარმოებაზე. ელექტროენერგიის წარმოება 1956 წელს გადიდდა 24 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. ამავე პერიოდში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი ელექტროენერგეტიკული მრეწველობის საწარმოებში გადიდდა დაახლოებით 14 პროცენტით. ამ მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სახელმწიფომ აიგო 500 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

1957 წელს გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 400 ათას კილოვატზე მეტი საერთო დაპროექტებული სიმძლავრის ახლად აგებული ან გაფართოებული ელექტროსადგურები.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ახალ ელექტროენერგეტიკულ საწარმოებში მომავალ წელს დაიდგმება უმთავრესად ჩინური წარმოების მოწყობილობა, აგრეთვე საბჭოთა კავშირიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და რუმინეთიდან შემოტანილი მოწყობილობა.

აღბანეთის სამრეწველო მშენებლობა

ტირანა, (საკდესი). მიმდინარე წელს ალბანეთში მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები ამუშავდა.

ამას წინათ მუშაობა დაიწყო ალბანეთის ერთ-ერთმა დიდმა ნავთობსახდელმა ქარხანამ ცერიკში. ეს პირველი ნავთობსახდელი ქარხანაა რესპუბლიკაში. იგი ყოველწლიურად მისცემს ალბანეთს 150 ათას ტონა ნავთობპროდუქტებს და მთლიანად უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ყველა სახეობის საწვავზე. უკვე რამდენიმე თვეა პროდუქციას უშვებენ ვლორის ე. ტელმანის სახელობის თეგზის საკონსერვო ქარხანა, აგრეთვე ქალაქების კორჩის, ელბასანისა და შკოდერის დაკონსერვებული ბოსტნეულის ფაბრიკები. წელს მწყობრში ჩადგა კიდევ ორი ახალი მადარო: კურბნეშჩის სპილენძისა და ტროპოეს ქრომის მაღარო. ალბანელ ხალხს ახალ საწარმოთა მშენებლობაში ძმური დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომლებმაც იქ თავიანთი სპეციალისტები გაგზავნეს.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს მუშაობა მდინარე მატიზე, სადაც შენდება ენერგი ხოჯას სახელობის 20 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. მისი მშენებლობის დამთავრების შემდეგ ალბანეთში შეიქმნება ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. ამ მიზნით ახლა გაჰყავთ მაღალვოლტიანი ხაზი, რომელიც ჰიდროელექტროსადგურს დაუკავშირებს ალბანეთის ძირითად სამრეწველო ცენტრებთან.

ფხენიანის საფეიქრო კომბინატში

ფხენიანი. (საკდესი). ფხენიანის საფეიქრო კომბინატმა — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის უდიდესმა საწარმომ — გადაჭარბებით შეასრულა სამი წლის გეგმა, 15 დეკემბრისათვის გამოუშვა გათვალისწინებულზე 16 მილიონ მეტრით მეტი ბამბის ქსოვილები.

მიმდინარე წელს კომბინატის მოწყობილობა შეივსო უკანასკნელი ნიმუშის საბჭოთა მანქანებით და სრული სიმძლავრით მუშაობს. კომბინატს აქვს 2.100 ავტომატური საქსოვი დაზგა და 60 ათასი თითისტარი.



კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ფხენიანის მახლობლად დამთავრდა ხორცის დიდი კომბინატის მშენებლობა. კომბინატი წელიწადში გამოუშვებს ხორცის 2.000 ტონა სხვადასხვა პროდუქციას: კონსერვებს, ძეხვებს, კატლეტებს. საწარმო აღჭურვილია საბჭოთა მოწყობილობით. სურათზე: ფხენიანის ხორცის კომბინატის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ვასილიევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბერლინი, 27 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის გაზეთი „დი ველტი“ მოწონავე სტატიის უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს.

ცენტრალურმა კომიტეტმა, წერს გაზეთი, მიიღო გადაწყვეტილებანი საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ფართო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ ბიუროკრატიის, უყაირათობისა და სახელმწიფო სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის წინააღმდეგ.

გაზეთს მოჰყავს პლენუმის დადგენილების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მძიმე ინდუსტრიის უპირატეს ზრდაზე როგორც სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ძირითად პრინციპზე.

ინდოეთი

დელი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს პლენუმის გადაწყვეტილებათა დაწერილებითი შინაარსი დიდი სათაურებით: „სამრეწველო წარმოების ზრდა რუსეთში“ („ჰინდუსტან ტაიმსი“), „პარტია მოუწოდებს კამპანიისათვის „გაუსწორონ კაპიტალიზმს“ („ჰინდუსტან სტანდარდი“) და სხვ.

გაზეთ „ინდიან ექსპრესს“ მიაჩნია, რომ „დაგეგმვის ხასიათში ცოტა მოხდება ძირეული ცვლილება, რადგან ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა მძიმე მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა, რასაც ხაზი გაუსვა XX ყრილობამ“.

ალბანეთი

ტირანა, 27 დეკემბერი. (საკდესი). ალბანეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. გაზეთი „ზერი ი პოპულიტი“ მოწონავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირის ახალ გამარჯვებათა პროგრამა“ წერს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი მკაფიოდ გამოხატავენ საბჭოთა ხალხის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შორსმჭვრეტელი ლენინური ხელმძღვანელობით. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერებას მოსდევს სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის კიდევ უფრო განმტკიცება. აღბანელი ხალხი, წერს გაზეთი, ერთსულოვნად და სულით და გულით მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. იგი დიდი სიხარულით ხვდება თავისი ყველაზე ძვირფასი მეგობრის ყველა წარმატებას, რომლებიც მიაჩნია სოციალიზმის ახალ წარმატებათა საწინდრად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საწინდრად.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

ხანოი, 27 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიან ზანმა“ გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და ამ პლენუმის დადგენილებათა მოკლე შინაარსი. კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1956 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებს, გაზეთი წერს, რომ ეს შედეგები ახალ პერსპექტივებს საზავენ იმ ამოცანების სრული განხორციელების საქმეში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, და ერთხელ კიდევ ადასტურებენ სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით.

ეხება რა პლენუმის გადაწყვეტილებათა საერთაშორისო მნიშვნელობას, „ნიან ზანი“ აღნიშნავს, რომ ისინი გამოხატავენ მშვიდობისადმი მისწრაფებას და წარმოადგენენ დიდ წვლილს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. სოციალისტური ქვეყნების ხალხები, წერს გაზეთი, სიხარულს განიცდიან იმ წარმატებათა გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა 1956 წელს, და მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა პოლონეთის საარქივო მასალები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას პოლონეთის მთელი რიგი საარქივო მასალები, რომლებიც ინახებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში.

1956 წლის 27 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს აქტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის აღნიშნული მასალების გადაცემის შესახებ.

აქტის ხელმოწერას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საარქივო სამმართველოს და სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკდესი).

მაგულობს მუშახელი უნგრეთის ქვანახშირის მრეწველობაში

ბუდაპეშტი, 27 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენს მუშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანს ხელფასი გაუდიდდათ მეშახტეებს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უნგრეთის ქვანახშირის რაიონებში საბინაო მშენებლობის გაფართოების შესახებ. მთავრობის ამ ღონისძიებებმა ის გამოიწვია, რომ ახალი მუშები მიდიან ქვანახშირის მრეწველობაში, რომელიც მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდის. ტატაბანიის ქვანახშირის ტრესტში ამ უკანასკნელ ხანს ახლომდებარე რაიონების მცხოვრებთაგან მიღებულია 420 განცხადება სამუშაოზე მიღების შესახებ. ბევრმა მათგანმა უკვე დაიწყო მუშაობა.

ახლომახლო სოფლების ბევრმა გლეხმა გამოთქვა სურვილი იმუშაონ პეჩის ქვანახშირის ტრესტის შახტებში. ანალოგიური სურათია უნგრეთის ქვანახშირის სხვა აუზებში.

კოლმეურნის მამაცობა

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ტყის განაპირას ორი სახლი დგას. ისინი ეკუთვნის კოლმეურნეებს ო. აბაშიძეს და ხ. სურმანიძეს.

ამას წინათ — ო. აბაშიძის სახლს დამის 2 საათზე გაუჩნდა ხანძარი. ო. აბაშიძე და მისი მეუღლე შეშინებული ეზოში გამოცვივდნენ, ყვირილი მორთეს და შველას ითხოვდნენ. აურზაური გაიგონა მათმა მეზობელმა ხასან სურმანიძემ. ის გამოვარდა სახლიდან და მიეშველა მეზობლებს.

აი რა გვიამბო ხასანმა ამის შესახებ:

— როცა დავინახე, რომ ცოლ-ქმარი დაიბნენ, შევიჭერი ცეცხლმოკიდებულ სახლში, სადაც ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი მეგულებოდა. სამი მათგანი ფანჯრიდან თოვლში გადავსვი, მეოთხე კი აკვნით ცეცხლის ალში გამოვატარე და გამოვედი გარეთ.

— ხასან, თქვენ გმირობა ჩაგიდენიათ, — ვუთხარი მე. — მან მიპასუხა:

— მე რა გმირობა ჩავიდინე, ეს ხომ ყოველი მოქალაქის ვალია...

ხასან სურმანიძე მამაცობისათვის აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაჯილდოვა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

სურათზე: სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ხ. ნ. სურმანიძე და მის მიერ გადარჩენილი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი — ნოდარ, მაყვალა, ნათელა და მერი აბაშიძეები.

შეხვედრა დამსახურებულ მეშახტეებთან

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ახალგაზრდა მეშახტეთა და მოსწავლეთა შეხვედრა ძველ დამსახურებულ მეშახტეებთან, რომლებიც პენსიაზე გადავიდნენ და თავიანთი სამუშაო ადგილები ღირსეულ ახალგაზრდა თაობას დაუთმეს.

შეხვედრაზე პენსიონერ მეშახტეებს მიესალმნენ მოწინავე გამყვანი ბ. კუბლაშვილი, სამთო ტექნიკოსი ა. ცხადაშვილი, მეშახტე ო. ქურციკიძე, მოსწავლეები ე. ვაშაკიძე, ა. ავალიანი, ნ. ცირკიძე და სხვ.

ახალგაზრდებს ამაღელვებელი სიტყვებით მიმართა და მუშაობაში წარმატება უსურვა ყოფილმა მებიგემ, პენსიონერმა მ. ჭარქაშაძემ, რომელმაც ორმოცი წელი მიწისქვეშ, სანგრეში იმუშავა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პენსიონერებმა ი. ტორონჯაძემ და ბ. ისაკაძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ნახევარფაბრიკატების ახალი სპეციალიზებული მაღაზია

ამ დღეებში თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე რესტორანმა „თბილისმა“ გახსნა თავისი ფილიალი — ხორცის ნახევარფაბრიკატების სპეციალიზებული მაღაზია.

მაღაზიის სისტემატურად აქვს შესაწვავად გამზადებული ღორის, ძროხის და ცხვრის ხორცის კატლეტები, მაღალხარისხოვანი სამწვადე, ღორისა და ცხვრის ნეკნები, ანტრიკოტი, ბიფშტექსი, ლანგეტი, კუპატი და სხვ. საკონდიტრო სექციაში იყიდება ტორტი, კექსი, ნუშის ნამცხვარი, ხაჭაპური, ხორციანი ღვეზელი, ორცხობილა და სხვ., რომლებიც მზადდება რესტორან „თბილისის“ საამქროებში.

ახალი წლიდან მაღაზიასთან იმუშავებს ხორცის ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საამქრო. აქ დადგმება დიდი მაცივარი, რომელიც 50 ტონაზე მეტ პროდუქტს დაიტევს. გაიხსნება ახალი სექცია, სადაც გაიყიდება შემწვარი და მოხარშული პროდუქტები — ფრინველი და გოჭი, ბოსტნეულის გამზადებული კერძები — მხალი, ლობიო, ვინეგრეტი და სხვ.

ტექნიკური კინოფილმები

ხაშური. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანებში რკინიგზის ხაშურის კვანძის ტექნიკურმა კაბინეტმა შესამჩნევად გაუმჯობესა მუშაობა. რკინიგზელებს სისტემატურად უჩვენებენ მოძრაობასთან დაკავშირებულ კინოფილმებს. განვლილ 11 თვეში სულ ნაჩვენებია 249 სეანსი, რომლებსაც 9.240 კაცი დაესწრო.

რკინიგზელები დაინტერესა ისეთმა კინოფილმებმა, როგორიც არის „ორთქლმავლის რემონტი“, „საცხოვრებელი შენობების მშრალი მოპირკეთების მეთოდი“, „აგურის წყობის მოწინავე მეთოდი“ (უჩვენეს ბინათა და ნაგებობათა დისტანციის მუშა-მოსამსახურეებს), „სამღებრო სამუშაოების მექანიზაცია“, „ვაგონების შეკეთების ნაკადური მეთოდი“, კინონარკვევი „საისრე გადამყვანი“ და სხვ.

ტექნიკურ კაბინეტს აქვს აგრეთვე ორი ფილმოსკოპი, რომლებიც სპეციალური განრიგით ეძლევა კვანძის საწარმოებს თითო თვის ვადით დიაფილმების საჩვენებლად.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ღღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ერეკლე, გრიბოედოვის სახელობის— ხეები კვდებიან ზეზეულად, სომხური დრამის — სისხლიანი უდაბნო, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ვენა ცეკვავს, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მუნა, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი — ვინ არის იგი?, კომკავშირელი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის ნაზაფხულო კლუბი — ბაში-აჩუკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, დიდუბე, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — აბეზარა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 29, კვირას, 30 და ორშაბათს, 31 დეკემბერს
დღისით და საღამოს
ახალი წარმოდგენა
კ. ბუაჩიძე
ეზოში ავი ძაღლია
კომედია 4 მოქმედებად
მონაწილეობენ: ალ. თოიძე, ვ. ჩახავა, ს. ყანჩელი, ნ. მგალობლიშვილი, ნ. ფალიაშვილი, ლ. ღამბაშიძე, ელ. საყვარელიძე, ლ. ტყავაძე, ბ. ზაქარიაძე, ვ. დოლიძე, ნ. ჩხეიძე, გ. ხალარაძე, ქ. საკანდელიძე, ივ. ჯინჯიხაძე, ნ. მარგველაშვილი.
დადგმა გ. პატარაიასი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე, დღისით 12 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო აცხადებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელთა და იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომლებიც საახალწლო ნაძვისხეს აწყობენ, რომ საახალწლო ნაძვისხის მოწყობისას ხანძრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ზუსტად დაიცვან სახანძრო უშიშროების ღონისძიებანი.

ამისათვის ნაძვისხე უნდა დაიდგას ოთახის შუა ადგილას მყარ ჯვარისებრ სადგარზე, სელმიწიან კასრში ან ყუთში, ისე რომ მისი შტოები კედლებსა და ჭერს არ ეხებოდეს. ნაძვისხე განათებული უნდა იყოს მხოლოდ ელნათურებით.

ნაძვისხის მორთვისას მასზე არ უნდა დავკიდოთ ცელულოიდის და სხვა ადვილაალებადი სათამაშოები, არ უნდა გამოვიყენოთ სერპანტინი, ბერთოლეს მარილი, ნაძვისხის სადგარსა და ტოტებზე არ უნდა დავფინოთ ცეცხლგამძლე ხსნარით გაუღენთავი ბამბა.

ნაძვისხის მოწყობისას უნდა აიკრძალოს ფეიერვერკის, მაგნიუმის ანთება, ელექტროშუქის მთლიანად ჩაქრობა, თამბაქოს მოწევა, შენობის გასასვლელები არ უნდა იყოს ჩახერგილი.

ნაძვისხესთან არ უნდა დავუშვათ ის ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც ცეცხლგამძლე ხსნარით გაუღენთავი ბამბის, ქაღალდის, მარლის კოსტიუმები აცვიათ, ნება არ უნდა დავრთოთ მოაწყონ ნაძვისხის გარშემო თამაში ანთებული სანთლებით.

აკრძალულია პიონერთა სასახლეებში, სკოლებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ნაძვისხის მოწყობა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დაუთვალიერებლად და მათგან ნებართვის მიუღებლად.

საახალწლო ნაძვისხის მოწყობისას სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პირები მიეცემული იქნებიან პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო

თბილისის ლიქიორ-არაკის ქარხანას ესაჭიროება ცეცხლფარეშები

პირობების გაგება შეიძლება ქარხნის დირექციაში, ლენინის ქ. № 16.

მეუღლე მაია, შვილი სტეფანე, დები მარიამ, მელანია, ძმები ირაკლი, შალვა მამაიაშვილები, რძალი ნ. დადუნაშვილი ოჯახებით იუწყებიან მასწავლებელ
ელენე იორდანეს ასულ ახმეტელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII სოფელ ანაგაში (სიღნაღის რ.).

შვილები მედეა, ლატავრა ნათესავებით იუწყებიან
სიმონ ივანეს-ძე შავლიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 3½ ს. ბარნოვის ქ. № 9.

დედა ლიზა, მამა შალვა, და გუცა, სიძე მ. ჟღენტი, ძმები ჯუმბერი, პიმენი, იროდი ოჯახებით იუწყებიან
გივი შალვას-ძე ჩუბინიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII სოფელ ქვაციხეში (ჭიათურის რ.).

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა იუწყება ამავე კოლმეურნეობის წევრის
იასონ ბესარიონის-ძე აბაშიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, 1 ს. სოფელ ქარელში.

დუშეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების, რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის გერთიანების და სან-ეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ
გივი გიორგის-ძე კეზელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII ქ. დუშეთში.

დედა თამარ ჯავახაძე, მამა სერგო, ძმა ომარ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
გურამ სერგოს-ძე თევდორაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, 4 ს. ყ. ყუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 74.

მეუღლე გალინა ჩხეიძე, შვილი მაყვალა, დები კატო, ფედოსი, ლიზა, სიძე ს. ბერძენიშვილი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
ალექსანდრე მოხეს-ძე მეგრელიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 1.

მეუღლე ოლა, შვილები ანიკო, ვანო, ვლადიმერ, ქეთო, რძლები ქეთო, თამარ ოჯახებით იუწყებიან
გიორგი ივანეს-ძე დარჩიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, 4 ს. სოფელ ანაგაში (სიღნაღის რ.).

რედაქციის, გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიულისა — 3-57-61, ადგილობრივი და მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-42, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 08653 ბოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2